





3.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები, ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.5 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნაღები, ანგარიშ-ფაქტურა და/ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე.

3.6 ამ ხელშეკრულების 3.5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მომწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.7 მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღისა

#### 4. ანგარიშსწორების წესი

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მომწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება, საქონლის გადაცემის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3 გადახდის ფორმა: ნაღდი ან უნაღდო (ხაზი გაესვას).

4.4 საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

#### 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

5.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მომწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

5.3 თუ მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მომწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ის ოდენობით.

5.4 თუ მომწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

#### 6. სხვა პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და წყდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 01 "ნოემბერი"

6.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.5 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს

წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.







